ნული
ბიბლიოთეკა

# გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

**დღეს მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 213 (3697)

29 1968 წ. ოქტომბერი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.




ხატ. გ. იაშვილისა.

## „მუჩას გრასიას, მეხიკო! ნახვამდის, დიდო ოლიმპიადა!“

აცტეკების უძველეს მიწაზე 16 დღის განმავლობაში ენთო XIX ოლიმპიადის ცეცხლი, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე დიდ ასპარეზობას უნათებდა და მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულებს იზიდავდა.

... როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) მეხიკო აირჩია 1968 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა, მექსიკელმა გენერალმა ხოსე კლარკმა თქვა: „ჩვენ ლატარიით ვეფხვი მოვიგეთ და ახლა იძულებული ვართ როგორმე მოვათვინიეროთ იგი“.

მექსიკელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ოლიმპიადა კარგად ჩატარებულიყო. იგი მართლაც გიგანტური იყო ასპარეზობის მასშტაბებითაც და მონაწილეთა რიცხვითაც. საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო მონაცემების მიხედვით, მეხიკოში 112 ქვეყნის 6 ათასზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი.

ოლიმპიადის საბჭოთა მონაწილეებს — სპორტსმენებს, ჟურნალისტებს, ტურისტებს და, საერთოდ, მექსიკის ყველა სტუმარს ამ ქვეყნიდან მიჰყვება ძალიან კეთილი მოგონებები, ისინი ამბობენ: „მუჩას გრასიას, მეხიკო“ — „დიდი მადლობა, მეხიკო“.

ოლიმპიადამ ცხადყო მსოფლიო სპორტის უსწრაფესი ზრდა.

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა სპორტსმენებით — ოლიმპიური ჩემპიონებით, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნებით, იმ სპორტსმენებით, რომელთაც მთელი ძალა, ვაჟკაცობა მოახმარეს ამ ასპარეზობას. მაგრამ ჩვენმა ოლიმპიელებმა მარტო სიხარული როდი მოგვიტანეს, ბევრმა გულიც გვატკინა. ოლიმპიადის შედეგები ხანგრძლივ და დეტალურ ანალიზს მოითხოვს. კერძოდ, საფუძვლიანად უნდა ვიმსჯელოთ ჩვენი მძლეოსნების, მოცურავეების, კალათბურთელების, აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატების, ველომრბოლელების გამოსვლაზე.

ჯერჯერობით კი ვილაპარაკოთ ოლიმპიადის ბოლოსწინა, მეთხუთმეტე დღეზე. 26 ოქტომბერს საბჭოთა სპორტსმენებმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მთელი კოლექცია დაისაკუთრეს. ორმაგი გამარჯვება იზეიმეს ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. 6 მედალი (მათგან ერთი ოქროსი) მოიპოვეს მოჭიდავეებმა. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ წყალბურთელები, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამჯერ ავიდნენ მოკრივეები. ორჯერ გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი ტანმოვარჯიშეთა გამარჯვების აღსანიშნავად.

### საბჭოთა ფრენბურთის ზეიმი

არ დავმალავთ, ფრენბურთელებისგან დიდ წარმატებას ველოდით, მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. ვაჟებმა დაიცვეს ოლიმპიური ჩემპიონის სახელი, ქალებმა კი ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ და უმაღლესი საფეხური დაიპყრეს. გიამბობთ ცოტა უფრო დაწვრილებით.

იაპონელ ქალებთან მატჩი ჩვენი გუნდიდან დაიწყეს ი. რისკალმა, გ. გალუშკამ, ლ. ბულდაკოვამ, გ. ლეონტიევამ, ნ. სმოლეევამ და რ. სალიხოვამ. პირველ პარტიაში საბჭოთა გუნდმა მძლავრი იერიშით დაჯაბნა მეტოქე და მტკიცე ბლოკით ჩაუკეტა გზა თავისი მოედნისკენ. იაპონელები ნერვიულობდნენ, შეცდომები გაუხშირდათ, გადაცემები უზუსტო იყო, დაიბნენ კიდეც. პარტია საბჭოთა სპორტსმენებმა 22 წუთში მოიგეს — 15:10.

მაგრამ არ შეიძლებოდა იმით დაიმედება, რომ იაპონელები იოლად დაყრიდნენ ფარ-ხმალს. მომდევნო პარტიაში როლები კინაღამ შეიცვალა და აი, ანგარიში გახდა 6:1 ჩვენი მეტოქეების სასარგებლოდ. მაგრამ საბჭოთა ფრენბურთელებმა წონასწორობა აღადგინეს — 7:7. შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა ყოველი ქულისთვის. უპირატესობა გარდამავალი იყო. ანგარიშია 11:8 იაპონელთა სასარგებლოდ, შემდეგ — 14:14. აქ იაპონელებს ნერვებმა უმტყუნა, მათი ორი უხეში შეცდომა, და პარტია კვლავ საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 16:14.

მესამე პარტიაში ჩვენი ფრენბურთელების დარტყმას სიმძლავრე დაეკარგა, იაპონელებისას კი პირიქით. ამის მიზეზი იყო ბლოკი, რომელიც ჩვენებმა გააუარესეს, იაპონელებმა კი გააუმჯობესეს. ანგარიში — 3:15.

მაგრამ ეს იყო იაპონელთა ბოლო წარმატება. სამწუთიანი შესვენების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები ისე ათამაშდნენ, თითქოს გამარჯვება არც ეეჭვებოდათ. საბჭოთა გუნდის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო — 15:9.

გამარჯვების სიხარულს ყველა აშკარად გამოხატავს, არის მხიარული სიმღერები, სიცილი, კოცნა, ცრემლები...

საბჭოთა ფრენბურთის ზეიმი კი გრძელდება — ქალების წარმატება ვაჟებმა განამტკიცეს. მათი მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო: წაგების შემთხვევაში ისინი ერთბაშად

(გაგრძელება მე-2 გვ.).




## ფეხბურთი — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

სოფია, 28 ოქტომბერი. პირველ შესარჩევ თამაშში ბულგარეთის ნაკრებმა აქ დაამარცხა ჰოლანდიის ეროვნული გუნდი — 2:0. ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით 45-ე წუთზე გახსნა ბონევმა, ხოლო შემდეგ მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ასპარუხოვმა სტუმრების კარში მეორე გოლი გაიტანა (65-ე წ.).

ბელგრადი, 28 ოქტომბერი. ევროპის ვიცე-ჩემპიონმა — იუგოსლავიის ნაკრებმა ფრედ (0:0) ითამაშა ესპანელებთან. VI ჯგუფში კვლავ ლიდერობენ ბელგიელი ფეხბურთელები, რომლებმაც 3 მატჩში 6 ქულა დააგროვეს. იუგოსლავიელებს ამდენივე შეხვედრის შემდეგ 3 ქულა აქვთ.

ლისაბონი, 28 ოქტომბერი. თავიანთ პირველ მატჩში პორტუგალიის ნაკრებმა სძლია რუმინელებს — 3:0 (2:0).

ატლანტა, 28 ოქტომბერი. ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკის ზონის IV ქვეჯგუფში მოასპარეზე აშშ-ს ნაკრებმა აქ დაამარცხა კანადის გუნდი — 1:0.

ნდოლა, 28 ოქტომბერი. ზამბიისა და სუდანის ფეხბურთელთა აქ გამართული შეხვედრით დაიწყო თამაშები XVI ჯგუფში. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა — ზამბიელმა სპორტსმენებმა.

# „მუჩას გრასიას, მეხიკო! ნახვამდის, დიდო ოლიმპიადა!"

(გაგრძელება)

III ადგილზე გადადიოდნენ. საქმე ისაა, რომ სსრ კავშირისა და იაპონიის გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, მაგრამ მოგებული და წაგებული პარტიების შეფარდება ჩვენი უარესი იყო.

მაგრამ სსრ კავშირ — ჩეხოსლოვაკიის მატჩის დასაწყისმა ცხადყო, რომ საბჭოთა სპორტსმენები ამაზე არც ფიქრობდნენ. მოედანზე გამოვიდნენ ე. სიბირიაკოვი, გ. მონძოლევსკი, ი. ბუგაენკოვი, ი. პოიარკოვი, ვ. კრავჩენკო, ე. ლაპინსკი. მათ ბრწყინვალე, თანამედროვე ფრენბურთი წარმოადგინეს. 13 წუთში მსოფლიო ჩემპიონებმა — ჩეხოსლოვაკიელმა ფრენბურთელებმა, როგორც იტყვიან, გამოფხიზლებაც ვერ მოასწრეს და მოედნის მეორე მხარეს გადაინაცვლეს — 7:15.

ჩვენ ტყუილად როდი ვუწოდებთ საბჭოთა გუნდის ბლოკს ბეტონისას. როცა ბადის თავზე სიბირიაკოვისა და პოიარკოვის, კრავჩენკოსა და ლაპინსკის ხელები აღიმართებოდნენ, მეტოქის დარტყმა ამაო იყო. ბრწყინვალე იყო ჩვენი თავდამსხმელების იერიშებიც. კარგად ითამაშა ბუგაენკოვმა.

მეორე პარტია 18 წუთს გაგრძელდა — 15:3. 22 წუთის შემდეგ მოგებული იყო მესამე პარტიაც — 15:8. კვლავ მილოცვები, კვლავ სიხარული.

საბჭოთა გუნდში აგრეთვე, თამაშობდნენ (ამ და სხვა მატჩებში) ვ. ბელიაევი, ო. ანტროპოვი, ვ. მატუშევასი, ვ. მიხალჩუკი, ბ. ტერეშჩუკი და ვ. ივანოვი.

აი, როგორ განაწილდა ადგილები ფრენბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში: ქალები — სსრ კავშირი, იაპონია, პოლონეთი, პერუ, სამხრეთ კორეა, ჩეხოსლოვაკია, მექსიკა, აშშ; ვაჟები — სსრ კავშირი, იაპონია, ჩეხოსლოვაკია, გდრ, პოლონეთი, ბულგარეთი, აშშ, ბელგია, ბრაზილია და მექსიკა.

## მთელ გუნდად ღირს

ლაპარაკი ტანმოვარჯიშეთა ტურნირის ბოლო დღეზე უნდა დავიწყოთ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ა. განდერის სიტყვებით: „თქვენი ვორონინი მთელ გუნდად ღირს".

იმ საღამოს ვორონინმა გაამართლა ეს სიტყვები. ცალკეულ იარაღებზე მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სპორტსმენები იბრძოდნენ. ვორონინმა ამ ბრძოლაში მოიპოვა ოქროს 2, ვერცხლის 2 და ერთიც ბრინჯაოს მედალი. მოსკოველმა დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური ტანმოვარჯიშეა. იგი ფინალში ექვსივე იარაღზე გამოდიოდა, ეს კი ოლიმპიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, იაპონელმა სავაო კატომაც ვერ შესძლო.

თუმცა თავისუფალ ვარჯიშში ვორონინი ვერ ჩაება — ძველმა ტრავმამ გაახსენა თავი. სამაგიეროდ, დანარჩენ ხუთ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენი პრიზიორთა სამეულში მოხვდა.

ბჯენით ხტომებში გამარჯვება ამ ასპარეზობაში განსაკუთრებით ძნელი იყო. გარდა იმისა, რომ თვითეულ სპორტსმენს ორი სხვადასხვა ხტომა უნდა ჰქონოდა არსენალში, საბოლოო შეფასებას ორი ნახტომის ჯამის მიხედვით იძლეოდნენ. ამ სიახლემ მყისვე დაატყო კვალი შედეგებს. ცნობილმა ოსტატმა, იაპონელმა ე. კენმოცუმაც კი სულ 9,175 ქულა მიიღო.

მ. ვორონინმა შემოგვთავაზა ხტომა 540-გრადუსიანი ბრუნით. თავად ძალიან მომთხოვნი მიხეილიც კი კმაყოფილი დარჩა, ფიცარნაგიდან გახარებული ჩამოვიდა. მსაჯებმა მას ყველაზე მაღალი შეფასება მისცეს — 9,50. ამან მიხეილს მოუტანა გამარჯვების ქულები — ზუსტად 19.

ამ საღამოს ყველაზე მაღალი შეფასება ძელზეც ვორონინმა მიიღო — 9,8. მაგრამ აქ მან იაპონელ ა. ნაკაიამას გაუყო გამარჯვება — 19,55. ამ უკანასკნელმა მანამდე ოქროს მედლები მიიღო რგოლებზე (19,45) და ორძელზე (19,475) გამარჯვებისთვის. ს. კატოს ოქროს ჯილდო ხვდა თავისუფალი ვარჯიშისთვის და ბრინჯაოსი — რგოლებზე. შემდეგ მან ზურგი იტკინა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

როგორც ტოკიოში, ტაიჭზე ყველაზე რთული და დახვეწილი პროგრამა წარმოადგინა იუგოსლაველმა მ. ცერარმა, რომელსაც კვლავ გამარჯვება ხვდა — 19,325. სხვათა შორის, პრიზიორთა სამეულში არც ერთი იაპონელი არ გასულა.

ვორონინს ამ საღამოს მხარი აუბეს მხოლოდ ს. დიომიდოვმა, რომელმაც ბჯენით ხტომებში ბრინჯაო მოიპოვა, და ვ. კლიმენკომ, რომელიც ორძელზე მესამე იყო.

## ფინალური მატჩის 24 გოლი

წყალბურთის თანამედროვე წესების ნაკლი განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ოლიმპიადის ფინალურ მატჩში. იუგოსლავიისა და სსრ კავშირის გუნდებმა 24 ბურთი გაიტანეს ერთმანეთის კარში. ამასთან, საბჭოთა წყალბურთელებმა ყველა დარტყმა 4-მეტრიანი საჯარიმოდან შეასრულეს. ხშირი იყო უხეში ხერხები, რის წინააღმდეგაც არბიტრებმა ვერაფერი იღონეს. ერთი სიტყვით, ეს იყო თავისუფალი ჭიდაობა წყალში...

მსაჯებმა ორჯერ დანიშნეს დამატებითი სამწუთიანი ტაიმი. ტოკიოს თამაშების პრიზიორებმა — იუგოსლაველმა წყალბურთელებმა სწორედ დამატებით დროში მოიპოვეს წარმატება. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 11:11.



ოქტომბრის დღეებში ყველა სპორტის მოყვარულის მზერა მეხიკოსკენ იყო მიმართული. მეხიკოს ასპარეზობას დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საქართველოს სოფლის სპორტსმენებიც, — მათ ხომ იქ თავიანთი ფალავანი ჰყავდათ... დიახ, ფალავანი, კლასიკური ჭიდაობის უბადლო ოსტატი რომან რურუა. რომანი ჯერ კიდევ 15 წლის ბიჭი იყო, როცა გეგეჭკორის რაიონის სოფელ მუხურჩიდან თბილისს ჩამოვიდა. შემდეგაც იგი მუდამ თავისი სპორტული საზოგადოების — „კოლმეურნის" ღირსებას იცავდა. რ. რურუა ბევრჯერ მდგარა უძლიერესთა კვარცხლბეკზე საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებების შემდეგ, ოლიმპიური ნათლობა კი ტოკიოში მიიღო და დებიუტი ვერცხლით დააგვირგვინა. მეხიკოში გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა. აქ რომანმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ფრედ და უძლეველის სახელი დაიმკვიდრა.

ოლიმპიადის ქართველ ტრიუმფატორს, „კოლმეურნის" ერთადერთ ოლიმპიელს გულითადად და სიყვარულით შეხვდებიან მისი ქომაგები, საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა.

სურათზე: რ. რურუა.

ფოტო ე. ვოლკოვისა.

შეხვედრის საერთო შედეგია 13:11 (2:3, 3:2, 3:1, 3:5, 0:0, 2:0) ახალი ოლიმპიური ჩემპიონების სასარგებლოდ, რომელთაც საბჭოთა სპორტსმენების მსგავსად, ერთი საფეხურით მაღლა გადაინაცვლეს წინა თამაშებთან შედარებით.

უნგრეთის გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა იტალიელები — 9:4 (1:1, 4:1, 4:1, 0:1) და III ადგილი დაიკავა.

## ლაგუტინი და რინგის სხვა გმირები

„მე მუდამ ვუმტკიცებდი სკეპტიკოსებს, რომ საბჭოთა კრივს ჯერ დენთი არ შემოჰკლებია", — თქვა ვ. პოპენჩენკომ, როცა „არენა მეხიკოს" ტოვებდა. ტოკიოს ოლიმპიადის გმირი კმაყოფილი იყო საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლით. მართლაც, ოლიმპიადის ბოლო დღეს საბჭოთა მოკრივეებმა ოქროს 3, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი მოიპოვეს. საუკეთესო ტექნიკისთვის განკუთვნილი ბარკერის თასის მფლობელი განსაკუთრებით აღაფრთოვანა ბ. ლაგუტინმა, რომელსაც შინ, მოსკოვში, რატომღაც მეორე ადგილზე აყენებდნენ, თუმცა მან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაშიც გაიმარჯვა და წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატშიც. ლაგუტინი ოლიმპიურ ნაკრებში-არ შეჰყავდათ — ვ. აგეევს აძლევდნენ უპირატესობას.

აგეევს მას შემდეგაც კი გამოუჩნდნენ ქომაგები, როცა მან თავისი ხულიგნური საქციელით დაკარგა ადგილი ნაკრებში. აქ, მეხიკოში, მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ბორის ლაგუტინმა ყველას დაუმტკიცა, რომ 30 წლის ასაკშიც შეიძლება მოუმატო დიდება ევროპის ორგზის ჩემპიონის, რომის ოლიმპიადის პრიზიორისა და ტოკიოს თამაშების ჩემპიონის სახელს.

ლაგუტინი, რომელმაც სახტად დატოვა თავისი მეტოქე, კუბელი რ. გარბეი, სამართლიანად აღიარეს პირველი საშუალო წონის საუკეთესო მოკრივედ. ფინალის მსაჯთა შენიშვნებში მრავლისმეტყველადაა ჩაწერილი ეს ციფრები: 59:57, 60:54, 60:55, 59:56, 60:55.

არანაკლებ შთამბეჭდავია კაუნასელი ი. ჩეპულისის მაგალითი. ახალგაზრდა სპორტსმენმა თავის პირველ დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში გაიმეორა საბჭოთა ათლეტების მიერ მელბურნში მოპოვებული წარმატება. იგი ვერცხლის პრიზიორი გახდა მძიმე წონაში.

მეხიკოს თამაშების ჩემპიონების სახელი მოიპოვეს ჩებოქსარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა, 23 წლის ვ. სოკოლოვმა (მჩატე წონა) და ვილნიუსელმა პედაგოგმა დ. პოზნიაკმა (ქვემძიმე), რომლის მეტოქემაც ნახევარფინალური ბრძოლის შემდეგ შეჯიბრება ვერ განაგრძო.

მეორე საშუალო წონაში გამოსვლისთვის ა. კისელიოვმა ნახევარი ფუთი მოიკლო და ამ თამაშებშიც (როგორც ტოკიოში) მეორე აღმოჩნდა. ამჯერად მან გამარჯვება ინგლისელ კ. ფინეგანს დაუთმო. ბრინჯაოს მედალი, როგორც ადრე ვიუწყებოდით, კიდევ მუსალიმოვს ხვდა (მეორე ქვესაშუალო). ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ფ. როდრიგესი (ვენესუელა), რ. დელგადო და ა. როლდანი (ორივე — მექსიკა), რ. ჰარისი (აშშ), ე. კულეი (პოლონეთი), მ. ვოლკე (გდრ), ჯ. ფორმენი (აშშ).

## დაცარიელებული დარბაზის მელოდიები

„პისტახიელოს" დაცარიელებული დარბაზი, სადაც მოჭიდავეთა ასპარეზობა ტარდებოდა... სიჩუმე, სამი ხალიჩის თავზე მოწყენილად ჰკიდია გადაწნული ხელების ფერადი ემბლემა — ჭიდაობის სიმბოლო...

26 ოქტომბერს სიხარულით უბრწყინავდა თვალები თბილისელ რომან რურუას (ქვემსუბუქი წონა). კლასიკური სტილის საბჭოთა მოჭიდავემ ყაიმით დაამთავრა მხოლოდ ბოლო ბრძოლა იაპონელ ხ. ფუიამოტოსთან, დანარჩენმა მოგებულმა შეხვედრებმა კი მას ოლიმპიური ჩემპიონის ნანატრი მედალი მოუტანა.

წინა ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, ლენინგრადელმა არმიელმა ა. როშჩინმა ისევ ვერ დასძლია 150-კილოგრამიანი, 198 სმ სიმაღლის უნგრელი გოლიათი ი. კოზმა. ყოფილი კალათბურთელი მოქნილად უსხლტებოდა მეტოქეს იმ ანგარიშით, რომ როშჩინის ერთი საჯარიმო ქულა სპორტული წარმატების სასწორს მისკენ გადასწონიდა.

რას იზამ, კოზმა სწორი აღმოჩნდა. ამასთან, მესამე მეტოქემ პ. ვმენტმა (ჩეხოსლოვაკია) უარი თქვა ფინალში ბრძოლაზე. იგი ბრინჯაოთიც კმაყოფილი იყო. გარდა როშჩინისა, ვერცხლის ჯილდო კიდევ სამმა საბჭოთა

(დასასრული მე-3 გვ.).

## ოლიმპიური მოზაიკა

### გამოსასყიდი — ვერცხლის მედალი

იაპონელმა ძალოსანმა ოუტიმ ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, მაგრამ იგი ერთობ სასოწარკვეთილი იყო. თურმე, ოუტი ცოლის თხოვას აპირებდა, საცოლის მშობლები კი მისგან დიდ გამოსასყიდს ითხოვდნენ. მეხიკოში გამგზავრების წინ ოუტიმ ასეთი პირობა დასდო: „მე ოქროს მედლის მოპოვებას შევეცდები, რომელსაც გამოსასყიდის სახით საცოლის მშობლებს მივართმევ".

მაგრამ დახეთ უბედურებას: იაპონელმა სანუკვარ ოცნებას ვერ მიაღწია — ოქროს მედალი ვერ იგდო ხელთ. მაგრამ მის მწარე განცდებს სწრაფად მოეღო ბოლო... დილით ტოკიოდან ასეთი დეპეშა მოვიდა: „თანახმა ვართ ვერცხლის მედლისა. საცოლე შინ გელოდება. მშობლები".

### კორესპონდენტის შეცდომა

საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ლ. ლატინინას უჩვეულო ინტერვიუს მიცემა მოუხდა, თუმცა, მექსიკური გაზეთის „სოლის" კორესპონდენტის პირველი შეკითხვა ჩვეულებრივი გახლდათ: „როგორ მოემზადნენ ოლიმპიადისთვის საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალები?".

ლატინინამ დაწვრილებით მოუთხრო ამ საკითხზე, უამბო თავისი მოწაფეების იმედებზე. და აი, კორესპონდენტმა მოულოდნელად ჰკითხა: „თქვენ კი თავად რისი იმედი გაქვთ?". თურმე კორესპონდენტი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ლატინინა საბჭოთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში ითვლებოდა და ტანვარჯიშის ფიცარნაგზე გამოვიდოდა.

როდესაც კორესპონდენტმა გაიგო, რომ იგი ოლიმპიური გუნდის მწვრთნელს ელაპარაკებოდა და არა მოქმედ ტანმოვარჯიშეს, გაეხარდა: „პირდაპირ ბედი მწყალობს! ჩემი შეცდომა სენსაციად იქცა. ჩემმა რედაქტორმა უკვე მომილოცა წარმატება — ლატინინასთან ინტერვიუ, მე კი მეგონა, რომ კუჩინსკაიას ვესაუბრებოდი".







ოლიმპიური თამაშების ფინალურ ტურნირში 5 საბჭოთა მოკრივე გავიდა, მაგრამ ოქროს მედლები მხოლოდ სამმა მოიხვეჭა.

სურათებზე: მარცხნიდან — ჩებოქსარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ვ. სოკოლოვი (მჩატე წონა), რომელმაც მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობით მოუგო ბრძოლა უგანდელ მუკვანგას; საბჭოთა გუნდის ვეტერანმა, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ბ. ლაგუტინმა (პირველი საშუალო წონა) შეინარჩუნა ეს მაღალი წოდება; ვილნიუსელ დ. პოზნიაკს (ქვემძიმე წონა) კი ოლიმპიური ოქროს მედალი უბრძოლველად ხვდა წილად, რადგან მისი მეტოქე, რუმინელი ი. მონეა რინგზე ვერ გამოვიდა წინადღით მიღებული ტრავმის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მუჩას გრასიას, მეხიკო! ნახვამდის, დიდო ოლიმპიადავ!“

დასასრული

სპორტსმენმა მიიღო: ინჟინრებმა — ალმაათელმა ვ. ბაკულინმა (უმძიმესი წონა) და კემეროვოს ოლქის წარმომადგენელმა ვ. ოლენიკმა (საშუალო წონა), საჯარიმო ქულათა დიდი „ტვირთის“ მიუხედავად, კარგად ჩაატარეს დასკვნითი შეხვედრები. პირველმა დაამარცხა უნგრელი ი. ალკერი, მეორემ — იუგოსლაველი ბ. სიმიჩი. ვერცხლის მეოთხე პრიზიორად დასახელებულია დონის როსტოვის სპორტსმენი, ოფიცერი ნ. იაკოვენკო (ქვემძიმე წონა).

ბრინჯაო ხვდა წილად მჩატე წონის წარმომადგენელს ი. კოჩერგინს (დონის როსტოვი).

ამას გარდა, ოლიმპიადის ოქროს მედლები წონითი კატეგორიების მიხედვით დაიმსახურეს: პ. კიროვმა (ბულგარეთი), ი. ვარგამ (უნგრეთი), მუნემურამ (იაპონია), რ. ვესპერმა და ლ. მეტცმა (ორივე — გდრ), ბ. რადევმა (ბულგარეთი).

ამ დარბაზში ჩვენ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. ექვსი მედალი საკმაოდ უხვი ოლიმპიური მოსავალია. საბჭოთა კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშიც პირველობა გაინაღდეს.

## მოცურავეთა სარეკორდო სისწრაფე

მოცურავეთა შეჯიბრება ისეთივე მღელვარებით დამთავრდა, როგორითაც ათი დღის წინ დაიწყო. ფარდის დახურვის წინ ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ამგვარად, მექსიკის აუზში ნაჩვენებ მსოფლიო მიღწევათა რიცხვი ექვსამდე გაიზარდა. წინა ოლიმპიური რეკორდები მხოლოდ შვიდ დისტანციაზე არ შეცვლილა. პროგრამის დანარჩენი 22 ნომერი მოცურავეებმა თავიანთ წინამორბედებზე დიდი სისწრაფით ჩაატარეს. არადა, რამდენს ლაპარაკობდნენ, სიმაღლე ხელს შეუშლის წყლის ბილიკების ოსტატებსო.

კვლავ გამოიჩინა თავი გდრ-ის წარმომადგენელმა, მოსწავლემ რ. მათესმა, რომელმაც მანამდე უკვე ოქროს 2 მედალი მოიპოვა. ამჯერად იგი გამოდიოდა 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტის პირველ ეტაპზე და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში 58,0 აჩვენა. ეს შედეგი ასპარეზობის წესის თანახმად ახალ მსოფლიო რეკორდად აღიარეს. მაგრამ ესტაფეტა მაინც აშშ-ს სპორტსმენებმა მოიგეს, რომლებიც ფინიშთან მივიდნენ მსოფლიო რეკორდით — 3.54,9. გდრ-ის მოცურავეებს II ადგილი ხვდათ — 3.57,5, საბჭოთა სპორტსმენებს კი III — 4.00,7. საბჭოთა გუნდში გამოდიოდნენ ლვოველები ი. გრომაკი და ვ. ნემშილოვი, ლენინგრადელი ვ. კოსინსკი და მოსკოველი ლ. ილიჩოვი.

ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით საბჭოთა გუნდი ფინალში ვერ გავიდა. აქ გაიმარჯვა აშშ-ს ნაკრებმა — 4.02,5. ეს ახალი ოლიმპიური მიღწევაა. გდრ-ის სპორტსმენმა ქალებმა II ადგილი დაიკავეს და ევროპის რეკორდი დაამყარეს — 4.05,7. წინადღით 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში საბჭოთა მოცურავეები წარუმატებლად გამოვიდნენ. ვ. ბურემ 18-წუთიან ზღვარს ვერ გადააბიჯა, ს. ბელიც-გეიმანმა დისტანცია ვერ დაამთავრა. ფინალური გაცურვა იოლად მოიგო მსოფლიო რეკორდსმენმა მ. ბარტონმა (აშშ) და ახალი ოლიმპიური მიღწევა დაამყარა — 16.38,9.

მოცურავეებმა 87 მედალი გაითამაშეს. არნახული მოსავალი მოიმკო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა, რომელსაც 52 მედალი ხვდა (21 ოქროსი, 15 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოსი). ამერიკელებმა 315 ქულა მოაგროვეს. დასკვნითი სტარტების შემდეგ II ადგილზე გავიდნენ ავსტრალიელები — 66 ქულა. მათ ოქროს 3, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 3 მედალი ხვდათ. საბჭოთა მოცურავეები III ადგილს დასჯერდნენ — 61 ქულა (ვერცხლისა და ბრინჯაოს 4-4 მედალი). ტოკიოსთან შედარებით მათ 31 ქულით მეტი აქვთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეხიკოში ცურვის პროგრამა 11 ნომრით გაიზარდა. საბჭოთა ოსტატები 29-დან 17 დისტანციაზე უქულებოდ დარჩნენ. განსაკუთრებით ცუდად გამოვიდა ქალთა გუნდი, რომელმაც საერთო ყულაბაში სულ 16 ქულა შეიტანა.

## რა თქმა უნდა, დიბიასი

ტანადი, ქერა, ჭაღარაშერეული ახალგაზრდა იტალიელი კლაუს დიბიასი, რომელიც თანამემამულეებს არც გარეგნობით ჰგავს და არც ხასიათით, კოშკიდან წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში გოლიათი ჩანდა. დასკვნითი ხტომის დროს ახალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვა, მაგრამ მაინც თითქმის 10 ქულით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული მექსიკელი ა. გაკსიოლა.

ფინალში, სადაც 12 საუკეთესო მონაწილე სამ-სამ ნებისმიერ ნახტომს ასრულებდა, დავა გაჩაღდა უმთავრესად მხოლოდ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის. ქების ღირსია ვეტერანი გაკსიოლაც. 31 წლის სპორტსმენმა ისეთი საბრძოლო თვისებები გამოავლინა, რაც ახალგაზრდებსაც შეშურდებოდათ. გაკსიოლამ გაუსწრო აშშ-ს მხტომელთა უაღრესად გამოცდილ დუეტს.

ბრძოლის დაძაბულობაზე ქულები მეტყველებენ: გაკსიოლა — 154,49, პანამერიკული თამაშების ჩემპიონი ე. იანგი — 153,93 და აშშ-ს ხუთგზის ჩემპიონი კ. რასელი — 152,34.

დიბიასის 164,18 ქულა აქვს. იგი, როგორც ცნობილია, მეხიკოში ტრამპლინზე მეორე იყო და სავსებით სამართლიანად დაიმსახურა ოლიმპიადის საუკეთესო მხტომელის არაოფიციალური ტიტული.

ვაჟთა ოლიმპიურ ტურნირში ოქროს მედალი 50 წლის განმავლობაში პირველად ხვდა ევროპელ მხტომელს. სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. საფონოვმა სუსტად ჩაატარა ფინალი. მას მაინც შეეძლო V ადგილზე გასვლა, კარგად რომ შეესრულებინა ბოლო ნახტომი, რომელიც ყველაზე რთული იყო. მაგრამ მოსკოველს აქაც უმტყუნა ბედმა. ჯამში — სულ 138,77 ქულა და კვლავ IX ადგილი. მის მეზობლად ადგილი დაიკავა ვ. ვასინმა (138,40), რომელმაც მხარი ამოიგდო და ძლივს დაამთავრა ბრძოლა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში, როგორც ყველა წინა ოლიმპიადაში, პირველობდნენ ამერიკელი წყალში მხტომელები (37 ქულა), მაგრამ ცალკეულ იარაღებზე მათ პოზიციები დათმეს და მოაგროვეს 12 ქულით ნაკლები, ვიდრე ტოკიოში. II ადგილზე გავიდნენ იტალიელები — 14 ქულა. აქედან 12 ქულა დიბიასის ანგარიშზე მოდის.

საბჭოთა მხტომელებს პირველად მოაქვთ ოლიმპიადიდან ვერცხლის 2 ჯილდო. მათ III ადგილი დაიკავეს — 11 ქულა. ეს ბევრი არაა, მაგრამ ადრინდელ ნადავლზე მეტია. მაგრამ მთელი ეს ნადავლი ქალებს ეკუთვნით. ვაჟებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათს გუნდში, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინ ევროპაში საუკეთესო იყო, საგანგაშო მდგომარეობაა.



მოსკოველმა სპორტის ოსტატმა, კოშკიდან წყალში ხტომაში ევროპის ჩემპიონმა ნ. ლობანოვამ ოლიმპიადაში 105,14 ქულა დააგროვა, მაგრამ ეს მაჩვენებელი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ იგი გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ახულიყო. ლობანოვას 4,45 ქულით აჯობა ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიელმა მ. დუხკოვამ და ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

სურათზე: ნ. ლობანოვა.

## უნგრელი ფეხბურთელები ტიტულს ინარჩუნებენ

საფეხბურთო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი ახალგაზრდული და ძლიერი გუნდი — ბულგარეთისა და უნგრეთისა.

თამაში ნერვიულად დაიწყო, მაგრამ პირველად ბულგარელი ფეხბურთელები მოეგენ გონს. მათ კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს და ტექნიკით არ ჩამოუვარდებოდნენ უნგრეთის ჩინებულ ნაკრებს.

21-ე წუთზე ც. დიმიტროვმა ლამაზი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. უნგრეთის ნაკრებმა დიდხანს ვერ გააღწია მეტოქეთა კარისკენ. ამასთან, ბულგარელთა მეკარემ ს. იორდანოვმა მაყურებელთა შეძახილებში სამი ბრწყინვალე, თითქოს უიმედო ბურთი აიღო. მაგრამ აი, 39-ე წუთზე ი. მენცელმა იორდანოვის მოულოდნელი შეცდომა გამოიყენა და ბურთი ბულგარელთა კარის ბადეში შეფრინდა. 50 წამის შემდეგ დაბნეულმა ბულგარელმა ფეხბურთელებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში: გოლი კარგად გაიტანა უნგრელთა მთავარმა ბომბარდირმა ა. დუნაიმ.

ბრძოლა მწვავდება და ზოგიერთი აზარტში შესული ფეხბურთელი წესებს არღვევს. მაგრამ აქ დიდი გამოუცდელობა გამოავლინა მექსიკელმა არბიტრმა დიეგო დე ლეომ. იმის მაგიერ, რომ მოთამაშეთა მღელვარება უბრალო შენიშვნებით დაეცხრო, მან სამ წუთში სამი ბულგარელი მოთამაშე გააძევა მინდვრიდან.

ამან ტრიბუნებზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და გააფუჭა მატჩი. ამასთან, მეორე ტაიმში საბოლოოდ დაბნეულმა მსაჯმა ასევე უსაფუძვლოდ გააძევა უნგრელი ი. იუხასი. რასაკვირველია, რვა ბულგარელი ფეხბურთელის წინააღმდეგ (იუხასი უკვე შეხვედრის ბოლოს გააძევეს) უნგრელებს თამაში არ გასჭირვებიათ. მათ კიდევ ორი გოლი გაიტანეს (იუხასი და დუნაი) და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს — 4:1. უნგრეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედლები.

ბრინჯაოს მედლები მიიღო იაპონიის გუნდმა. IV ადგილზე გავიდნენ მექსიკელები.

• • •

ბალახის ჰოკეისტთა ტურნირში გაიმარჯვეს პაკისტანის წარმომადგენლებმა. ვერცხლის მედალი ავსტრალიელებს ხვდათ, ბრინჯაოსი—შვიდგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს — ინდოეთის ჰოკეისტებს, რომლებიც 1928 წლიდან წლეულს პირველად ვერ გავიდნენ ფინალში.

# მეხიკო ემშვიდობება ოლიმპიადას

27 ოქტომბერი მეხიკოში საზეიმო და რამდენადმე ნაღვლიანი დღე იყო. დადგა განშორების ჟამი. პლანეტის ათასობით ახალგაზრდა, საუკეთესო სპორტსმენი ოლიმპიურ სოფელში მეგობრულ ოჯახად ცხოვრობდა, ასპარეზობდა. შესანიშნავ სტადიონებზე, სპორტულ დარბაზებსა და აუზებში სისწრაფეში, ძალაში, მოქნილობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

მეგობართა განშორება მუდამ სევდის მომგვრელია... ბოლო დღეებში სპორტსმენებს ხშირად ნახავდით მეხიკოს ქუჩებში ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ოლიმპიურმა სოფელმა კი მექსიკელთათვის შეუვალი კარი გახსნა. ქალაქის მრავალი მცხოვრები და სხვა შტატების სტუმრები აქ ჩამოვიდნენ, რათა კიდევ ერთხელ ენახათ თაყვანთი კერპები.

თანამედროვეობის უდიდესი ოლიმპიადა, რომლის ორგანიზაციისთვის ასე ბევრი გააკეთა შრომისმოყვარე მექსიკელმა ხალხმა, დამთავრდა და სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. მან გვიჩვენა მსოფლიოს სპორტული მოძრაობის არნახული პროგრესი და დაარღვია ყოველგვარი პროგნოზი ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარზე.

ოლიმპიური მედლები 43 ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს. ასეთი ფართო გეოგრაფია ოლიმპიურ თამაშებს არ ახსოვს. შესანიშნავად გამოვიდნენ, მაგალითად, კენიისა და მექსიკის სპორტსმენები, რომლებმაც ოქროს 3-3 მედალი მოიპოვეს. ოლიმპიადის პრიზები დაისაკუთრეს, აგრეთვე, მონღოლეთის, ტუნისის, უგანდის, კამერუნის, კუბის სპორტსმენებმა. განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა წარმატება.

ოლიმპიადისთვის ძალიან გულმოდგინედ ემზადებოდნენ მექსიკელთა მეზობლები — ამერიკელები, რომლებმაც უდიდესი ხარჯები გაიღეს, რათა იმავე სიმაღლეზე და ბუნებრივ პირობებში ევარჯიშათ. ამერიკელებმა სხვებზე მეტი ოქროს მედალი მოიგეს პირველ ყოვლისა მძლეოსნობასა და ცურვაში, თუმცა სპორტის უმეტეს სახეობებში დასთმეს გუნდური პირველობა საბჭოთა სპორტსმენებთან.

როგორც წინათ, მედლების უდიდესი ნაწილი ამერიკის მძლეოსნურ ნაკრებში ზანგებმა მოიხვეჭეს. ოლიმპიადის ჩემპიონმა 4×400 მეტრზე ესტაფეტაში ვ. მეტიუსმა გაზეთ „ოვასიონესის“ ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა: „ამერიკელთა გუნდი ვერასოდეს მოიპოვებდა ამდენ მედალს მძლეოსნობაში, ზანგები რომ არ ჰყოლოდა“.

საბჭოთა ოლიმპიელებმა მეხიკოში მოიხვეჭეს ოქროს 29, ვერცხლის 32 და ბრინჯაოს 30 მედალი. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა მედალოსნებს, ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებიც მამაცურად ასპარეზობდნენ მეხიკოში.

დილით, თამაშების დახურვაზე გამგზავრებამდე, საბჭოთა სპორტსმენები შეიკრიბნენ ოლიმპიური სოფლის ღია თეატრის ტრიბუნებზე, რათა XIX ოლიმპიადის ლაურეატებისთვის პატივი ეცათ. შეკრებილთ გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ს. პავლოვი, რომელმაც წაიკითხა დადგენილება ოლიმპიური ჩემპიონებისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალი წოდების მინიჭების შესახებ. ეს წოდება მიენიჭათ მოკრივე ვ. სოკოლოვს, ფეხბურთელებს ი. რისკალს, ვ. გალუშკას, ნ. სმოლეევას, რ. სალიხოვას, ვ. ვინოგრადოვას, გ. ლეონტიევას, ე. სიბირიაკოვს, ვ. კრავჩენკოს, ვ. ბელიაევს, ვ. ივანოვს, ე. ლაპინსკისა და გ. მიხალჩუკს.

ოქროს მედლების მფლობელებმა მიიღეს ლამაზი მექსიკური სომბრეროები, ხოლო ვახშმად „ჩემპიონური“ ტორტი, რომელიც ფუთზე მეტს იწონიდა.

ოლიმპიადის ბოლო დღეს ტრადიციულად მოეწყო მხოლოდ ერთი შეჯიბრება: დილით მთავარ სტადიონზე ცხენოსნები დაბრკოლებათა გადალახვაში ასპარეზობდნენ. „გრან პრი“ კანადის გუნდმა დაისაკუთრა.

საღამოს კი ოლიმპიადის მთავარ სარბიელზე ნემსი არ ჩავარდებოდა. მსოფლიოს ყველა ტელეკამერა ცენტრალური სტადიონის სარკეს უყურებდა.

ხუთი გადაჯაჭვული რგოლით დამშვენებულ თეთრ დროშას ნიავი არხევს. გიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი. ოლიმპიელები უკანასკნელად შეხვდნენ სტუმართმოყვარე და მხიარულ, ტემპერამენტიან და გულღია მასპინძლებს. სპორტსმენთა შორის უკვე აღარაა გამარჯვებული და დამარცხებული. ისინი მაყურებლები არიან, ტრიბუნებზე სხედან. სტადიონზე შეკრებილი ათასობით ადამიანი გაჰყვირის: „მე-ხი-კო! მე-ხი-კო!“ და ჰაერში სომბრეროები მიფრინავს.

პრეზიდენტის ლოჟაში გამოჩნდა მექსიკის რესპუბლიკის მეთაური გუსტავო დიას ორდასი. სინათლე ქრება და ტაბლოზე დიდი ასოები ისახება: „მეხიკო-68“. ქუხს სალუტი და გვირაბიდან პირველი მედროშე გამოდის. მას მოაქვს იმ ქვეყნის დროშა, საიდანაც მუდამ იწყებს მოგზაურობას ოლიმპიური ცეცხლი. ეს საბერძნეთის დროშა გახლავთ. ეროვნული სიმღერების ხმაზე წრეზე ნელა მოძრაობს დროშები.

დროშები ყველაზე ღირსეულთ მოაქვთ. ჩვენი ქვეყნის წითელი ალამი გამართულ მარცხენა ხელში უჭირავს დედამიწის ყველაზე ღონიერ ადამიანს ლეონიდ ჟაბოტინსკის. მედროშეები და მათი ასისტენტები შუა მინდორზე ეწყობიან და ფირფიტები ქვეყნების აღმნიშვნელი წარწერებით თითქმის ასმეტრიან უწყვეტ ლენტს ქმნის. 112 ფირფიტა — 112 დროშა.

შემდეგ მხარდამხარ გამოდიან ოლიმპიელები. აფრიკელთა მწვანე მოსასხამები, ევროპელთა ალისფერი და ლურჯი პიჯაკები, ახალზელანდიელთა შავი ქურთუკები. ყველას სომბრერო ჰხურავს და ხელიხელჩაკიდებულნი ტრიბუნების წინ ერთიან კოლონად მიდიან. მათ შემდეგ კი ბილიკზე გამოდის თეთრ კოსტიუმებში გამოწყობილი ოლიმპიადის მასპინძელთა გუნდი.

მედროშენი ნა[illegible]არწრეს ჰქმნიან მწვანე მინდორზე. მიკროფონთან მიდის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი. „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სახელით, — ამბობს იგი,— უღრმეს მადლობას მოვახსენებ მექსიკის პრეზიდენტს გუსტავო დიას ორდასს, მექსიკის ხალხს, ამ ქალაქის მესვეურთ, საორგანიზაციო კომიტეტს“.

პრეზიდენტმა ოლიმპიური თამაშები დახურულად გამოაცხადა და ყველა ქვეყნის ახალგაზრდობა ტრადიციულად მიიწვია 4 წლის შემდეგ XX ოლიმპიადაზე. „დაე, თამაშები, —თქვა ბრენდეჯმა, — იყოს სიხარულისა და თანხმობის წყარო. დაე, ოლიმპიურმა ჩირაღდანმა იმოგზაუროს კონტინენტიდან კონტინენტზე კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.

ნელა ქრება დიდი პროჟექტორები. მხოლოდ ოლიმპიური ცეცხლი ანათებს უზარმაზარ სტადიონს.

ოლიმპიური დროშისთვის მინათებული სინათლის შუქზე გამოჩნდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის კადეტთა საზეიმო ესკორტი. კადეტები ნელა უშვებენ ოლიმპიადის თეთრ დროშას და მწყობრი ნაბიჯით ტრიბუნებს წინ ჩაუვლიან. სტადიონი სიჩუმეში აცილებს ოლიმპიურ დროშას.

დოლის გუგუნში ნელა ქრება ცეცხლი თასში, ხოლო ოლიმპიურ სარბიელზე ინთება ფეიერვერკი. ოქროს წვიმა მოდის ტრიბუნებზე. მეხიკოს ცა ცისარტყელის ყველა ფერითაა აჭრელებული.

მინდორზე გამოდის ორკესტრი და ქორო. 800 მომღერალი და მუსიკოსი ასრულებს ეროვნულ სიმღერებს. ამ სიმღერების ხმებში სტადიონის ბილიკებზე ხელიხელგადახვეულნი გამორბიან ოლიმპიელები და ცეკვავენ. ისინი ტრიბუნებზე ისვრიან ყვავილებს, ყელსახვევებს, სომბრეროებს.

და აი, სტადიონის ბილიკზე ფერხულს უერთდებიან მექსიკელი ჭაბუკები და გოგონები. აი, მოსულმა ზანგმა მხრებზე შეისვა სამი მექსიკელი. აი, თავდაჭერილი ინგლისელები ხელებზე არწევენ რინგის გმირს, ცეკვავენ ბრაზილიელი და რუსი, გერმანელი და ფრანგი ქალიშვილები. ეს საზეიმო ფერხული დაუვიწყარია. აი, ასე მხიარულებსა და სიცოცხლისმოყვარულებს დაიმახსოვრებენ მექსიკელები ოლიმპიელებს.

ნახვამდის, მექსიკა! შენ იყავი სარბიელი ახალგაზრდობისა, რომელსაც აერთიანებს სპორტი და მშვიდობით ცხოვრების სურვილი. სამუდამოდ დარჩები ჩვენს გულში, მექსიკა!

1968 MEXICO

## ოლიმპიური მოზაიკა

### ოლიმპიადის ორგანიზატორთა შემოსავალი

XIX ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები შიშობდნენ, რომ 18 მილიონი დოლარის ზარალს ნახავდნენ. ოლიმპიური კომპლექსი სულ 153 მილიონი დოლარი დაჯდა. მაგრამ წინასწარი ანგარიშით, ორგანიზატორთა შიში უსაფუძვლო გამოდგა. მექსიკის მთავრობა ოლიმპიური სოფლისა და სხვა ნაგებობების გაყიდვით დაახლოებით 92,5 მილიონი დოლარის ამოგებას ვარაუდობს. ოლიმპიური შეჯიბრებების ბილეთებისა და ტელევიზიით თამაშების გადაცემის უფლების ლიცენზიების გაყიდვით მას კიდევ 19,2 მილიონი დოლარი შემოუვა. ოლიმპიადის საყურებლად მექსიკაში ჩამოსულმა ტურისტებმა სტუმართმოყვარე დედაქალაქში 24 მილიონი დოლარი დატოვეს.

გარდა ამისა, ოლიმპიადის მასპინძლები ტურისტთა ახალი ნაკადის მოსვლით თვალსაჩინო მოგებას იმედოვნებენ — შარშანდელთან შედარებით მოსალოდნელია ორჯერ მეტი ტურისტის ჩამოსვლა: ოლიმპიურმა თამაშებმა ხომ უდიდესი პოპულარობა მოუხვეჭა მექსიკას!

### შვედები მედლებს აბრუნებენ

ოლიმპიურ ტურნირში III ადგილზე გასული შვედი ხუთჭიდელები იძულებული გახდნენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ჩააბარონ ბრინჯაოს მედლები — ისინი დისკვალიფიცირებული არიან. თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ს. ტოფელტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შვეციის გუნდის დისკვალიფიკაცია დაეფუძნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის რეკომენდაციას. ექიმებმა 27 წლის გ. ლილიენვალის სისხლში აღმგზნები საშუალებების დიდი შემადგენლობა აღმოაჩინეს სროლაში შეჯიბრების დროს. ეს პირველი შემთხვევაა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, როცა გუნდს დოპინგის ხმარებისთვის უკეთებენ დისკვალიფიკაციას. „შვედმა ხუთჭიდელებმა დამსახურებული სახელი მიიღეს“, — ახსენის მექსიკის პრესა.

# ბრძოლა მწვავდება

სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის. გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ერთეულების თანრიგში. ბუნებრივია, ამ ეტაპიდან პირველობისთვის ბრძოლა მეტად დაძაბული და ერთობ საინტერესო იქნება. საქართველოს ჩოგბურთელთაგან ვაჟთა ერთეულების მეოთხედფინალში გზა იოლად გაიკაფა ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა. მან მეთექვსმეტედფინალში დაამარცხა ი. ჩობა — 6:2, 6:2, 6:2, ხოლო მერვედფინალში — მ. დიბცევი — 6:3, 6:2, 6:2. მეოთხედფინალში მეტრეველის მეტოქე იქნება ლენინგრადელი ა. ივანოვი. მეთექვსმეტედფინალში დანარჩენ თბილისელ ჩოგბურთელთა შედეგები ასეთია: ო. გიგაიამ უშედავათო ბრძოლაში „დაუთმო“ შეხვედრა ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგბურთელს ვ. ეგოროვს — 4:6, 4:6, 4:6. თბილისელი ვ. პერეგუდოვი დამარცხდა ა. იუხველტთან — 7:5, 3:6, 2:6, 2:6, ხოლო ბ. სენჩუროვი — ვ. ვასილიევთან — 3:6, 1:6, 1:6.

გთავაზობთ ვაჟთა ერთეულების დანარჩენი მეთექვსმეტედფინალური და მერვედფინალური შეხვედრების შედეგებს:

მეთექვსმეტედფინალი: ვ. შაპირო — ვ. კაპლანასი 6:2, 6:2, 5:7, 6:4, ს. ევინგი — შ. ტარპიშჩევი 6:4, 6:4, 0:6, 6:3, ვ. მინაიჩევი — რ. სივოხინი 6:4, 7:9, 6:3, 1:6, 6:4, ვ. პესჩანკო — ე. ლანგე 6:1, 3:6, 6:0, 6:2, ვ. პალმანი — ბ. ლუნინი 6:3, 6:1, 6:4, ა. ბეკუნოვი — ნ. ნეკრასოვი 4:6, 7:5, 3:6, 6:4, 6:4, თ. ლეიუსი — ს. გუსევი 6:1, 6:1, 6:3, ს. ლიხაჩოვი — ვ. კაპლანი 6:1, 4:6, 6:2, 6:3, ხ. სეპი — ი. იუშკა 4:6, 6:4, 9:7, 6:3, ბ. ბუზმაკოვი — ე. შვეცოვი 6:1, 6:4, 3:6, 5:7, 6:2, ა. ივანოვი — ა. ეპიკი 6:4, 7:5, 6:2, მ. დიბცევი — ი. სიმსონი 6:2... (ამის შემდეგ სიმსონმა უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე); მერვედფინალი. ეგოროვი — შაპირო 6:2, 6:3, 6:1, ევინგი — მინაიჩევი 6:4, 6:4, 0:6, 6:2, პესჩანკო — პალმანი 9:7, 6:3, 6:3, ლეიუსი — ბეკუნოვი 6:1, 6:1, 7:5, ლიხაჩოვი — იუხველტი 6:3, 6:1, 7:5, სეპი — ბუზმაკოვი 6:2, 4:6, 2:6, 8:6, 6:1, ივანოვი — ვასილიევი 6:4, 6:2, 6:1.

ქალთა ერთეულებში დაუმარცხებლად მიიწევს წინ თბილისელი ა. ივანოვა. მეთექვსმეტედფინალში მან მოუგო ე. სინიცინას — 6:4, 6:2, ხოლო მერვედფინალში — ე. სლეპჩენკოს — 6:1, 6:2, რ. აბჟანდაძეც ახლოს იყო ამგვარ წარმატებასთან: მეთექვსმეტედფინალში მან მოუგო ა. გვაის — 4:6, 6:1, 6:3, მერვედფინალში კი წააგო ჩუვირინასთან — 6:3, 3:6, 6:8. გადამწყვეტ პარტიაში ჩუვირინა წინ გავიდა — 3:1, მაგრამ აბჟანდაძემ არა თუ გაათანაბრა (3:3) მდგომარეობა, არამედ დაწინაურდა კიდეც (5:3)... გამარჯვებამდე თითქოს ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა და რენას სწორედ ამ დროს უმტყუნა ბედმა — 6:8. აბჟანდაძე შესანიშნავად ასრულებდა გრძელ დარტყმას, მისი მეტოქე ხანგრძლივი გადაცემებისას იღლებოდა, ნერვებს ვერ იოკებდა. სამაგიეროდ, რენა ბადესთან გასვლისას ძალიან გაუბედავად მოქმედებდა. მას სწორედ ამ ტექნიკურმა წუნმა დააყრევინა საბოლოოდ ფარ-ხმალი.

მეთექვსმეტედფინალში გაიმარჯვეს თბილისელებმა — ო. პაპაიანმა (ა. ერემეევასთან — 6:2, 0:6, 6:4) და ნ. თუხარელმა (სანდერსონესთან — 6:2, 6:1), მაგრამ მერვედფინალში ორივე დამარცხდა (პაპაიანი — ლ. ზინკევიჩთან — 1:6, 4:6, თუხარელი — რ. ისლანოვასთან — 4:6, 6:8). თბილისელები ი. ერმოლოვა და თ. ფარსადანოვა დამარცხდნენ მეთექვსმეტედფინალში (პირველი — ტ. სიმსონთან — 4:6, 0:6, მეორე — ტ. კივისთან — 7:5, 1:6, 0:6).

მოგვყავს ქალთა ერთეულების დანარჩენ შეხვედრათა შედეგები.

მეთექვსმეტედფინალი. გ. ბაკშეევა — გ. ლუკირსკაია 6:2, 6:2, მ. კული — ლ. კარპოვა 6:2, 6:4, ლ. ზინკევიჩი — ე. იზოპაიტისი 6:2, 6:3, ს. ასპისოვა — ი. ლიმაკინა 6:4, 11:9, ე. სლეპჩენკო — ე. ბირიუკოვა 6:2, 6:3, მ. ჩუვირინა — ზ. ზაიდესი 6:1, 4:6, 6:2, თ. ჩალკო — ე. კრიუჩკოვა 4:6, 6:2, 6:3, რ. ისლანოვა — ნ. შკოლნიკი 6:1, 6:3, ა. კრეე — ვ. საზონოვა 6:4, 6:2, ო. მოროზოვა — ლ. ბლაგირევა 6:2, 6:2; მერვედფინალი. ბაკშეევა — კული 6:3, 4:6, 6:4, სიმსონი — ასპისოვა 6:0, 6:0, კივი — ჩალკო 6:4, 10:8, მოროზოვა — კრეე 6:2, 6:2.

ჩატარდა ვაჟთა წყვილების ასპარეზობის I წრის (მეთექვსმეტედფინალი) ყველა შეხვედრა. შედეგები ასეთია: ხ. სეპი, მ. მურსი — ნ. ორლოვი, ნ. შვარცბურდი 6:4, 6:1, ვ. პესჩანკო, ს. გუსევი — ი. პავლოვი, ვ. შკლიარი 6:3, 6:3, ა. ეპიკი, რ. პარმასი — ს. ალექსანდროვსკი, ვ. აბაშკინი 3:6, 6:3, 3:6, 6:3, 8:6, პ. ლამპსა და ა. იუხველტს გამარჯვება ჩაეთვალათ შ. ტარპიშჩევისა და ვ. შაპიროს გამოუცხადებლობის გამო. ა. ივანოვი, ვ. პალმანი — [illegible] ვიჩი 6:2, 6:2, 6:2, ე. ლანგე, ნ. ნეკრასოვი — ნ. და პ. აკსანოვები 6:4, 7:5, ს. ევინგი, პ. რანდმერი — ი. სიმსონი, ბ. ლუნინი 6:3, 6:1, ბ. სენჩუროვი, ო. გიგაია — ე. შვეცოვი, ბ. სიტკოვი 6:3, 11:9.

ქალთა წყვილების ბოლო მერვედფინალური შეხვედრა ს. ასპისოვა — ე. სლეპჩენკოსა და ე. ბანტლე — ვ. საზოვას შორის პირველი დუეტის გამარჯვებით დამთავრდა — 14:12, 8:6.

შერეულ წყვილებში გამართული მეთექვსმეტედფინალური შეხვედრების შედეგები ასეთია: ტ. და ი. სიმსონები — ე. ბანტლე, ვ. შაპირო 6:2, 6:3, ე. იზოპაიტისი, ბ. ლუნინი — ლ. ნოვაშინსკაია, ვ. კაზაკოვიჩი 6:1, 6:3, თ. ჩალკო, ვ. რუბანოვი — ე. კრიუჩკოვა, ვ. მინაიჩევი 6:8, 10:8, 8:6, ტ. კივი, ა. იუხველტი — ა. კრეე, ხ. სეპი 6:3, 6:3, რ. აბჟანდაძე, რ. სივოხინი — ე. სლეპჩენკო, ვ. პესჩანკო 6:2, 2:6, 6:3, ნ. პროკოფიევასა და ვ. კაპლანთან შეხვედრაზე ო. პაპაიანი და ვ. აბაშკინი არ გამოცხადებულან, ა. ივანოვა (თბილისი), ვ. ვასილიევი — ლ. ბლაგირევა, ი. კონდრატიევი 9:7, 6:3, მ. კული, ა. ივანოვი — ნ. თუხარელი, ბ. სენჩუროვი 6:2, 6:4.

მ. ქავთარია.




## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

## აბდურაიმოვი, სტრელცოვი, გავაშელი...

დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურების მატჩები.

ვისაც კიევის დინამოელთა სიმპათია აქვს, უკვე შეუძლია გაგზავნოს მათი მისამართით მისალოცი დეპეშა: კალენდარში კიეველებს სულ 3 მატჩში დარჩათ სათამაშო, ჩემპიონობის გასანაღდებლად კი სჭირდებათ მხოლოდ ერთი, ერთადერთი ქულა. ეს ქულა კიეველებმა უნდა აიღონ ან თბილისის „დინამოსთან“ და ერევნის „არარატთან“ (საკუთარ მინდორზე), ან როსტოვის არმიელებთან (გასვლაზე). ვფიქრობთ, ეს ასეც მოხდება და გუნდი ზედიზედ მესამედ მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს.

განვლილ შაბათს კიევის „დინამოს“ მიერ მოგებულ მატჩში (2:1) მინსკელ თანაკლუბელებთან, უკრაინელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (პუზაჩი, მუნტიანი), მერე კი ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა მალოფეევმა.

მოსკოვის „ტორპედოსა“ და „დინამოს“ ძალზე პრინციპულ მატჩში გამარჯვება - წილად ხვდათ დინამოელებს. ევრიუჟიხინისა და სიომინის მიერ გატანილ 2 გოლს „ტორპედომ“ მხოლოდ ერთით უპასუხა (მიხაილოვი).

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას ლიდერობენ ბ. აბდურაიმოვი („პახტაკორი“) — 19 გოლი, ე. სტრელცოვი (მოსკოვის „ტორპედო“) — 18 და გ. გავაშელი (თბილისის „დინამო“) — 14. საინტერესოა, როგორ გაიტანეს ბომბარდირებმა ეს გოლები?

აბდურაიმოვმა სამჯერ შეასრულა ე. წ. „ჰეტ-თრიკი“ (3 გოლი ერთ მატჩში) და ამდენივე პენალტი გაიტანა. სტრელცოვს სულ ერთი პენალტი აქვს რეალიზებული და სამ მატჩში გაიტანა 2-2 გოლი. დანარჩენ შემთხვევებში მას თითო გოლი გაქონდა.

გ. გავაშელს ათ თამაშში 14 გოლი აქვს გატანილი, ამასთან ოთხჯერ — 2-2. უნდა ითქვას, რომ გავაშელმა თავის მთავარ კონკურენტებზე გაცილებით ნაკლები შეხვედრა ჩაატარა ჩემპიონატში.

## სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი, I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 35 | 21 | 12 | 2 | 56—23 | 54 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 34 | 19 | 8 | 7 | 55—37 | 46 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 34 | 17 | 11 | 6 | 53—26 | 45 |
| ცსკა | 34 | 18 | 9 | 7 | 46—28 | 45 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 35 | 17 | 8 | 10 | 51—31 | 42 |
| „დინამო“ (თბილისი) | 34 | 15 | 10 | 9 | 43—24 | 40 |
| „დინამო“ (მინსკი) | 33 | 14 | 10 | 9 | 40—32 | 38 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 34 | 10 | 15 | 9 | 34—36 | 35 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 33 | 10 | 14 | 9 | 43—41 | 34 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 35 | 10 | 13 | 12 | 23—36 | 33 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 34 | 11 | 10 | 13 | 36—44 | 32 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 34 | 9 | 13 | 12 | 31—44 | 31 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 34 | 9 | 12 | 13 | 35—36 | 30 |
| ასკ (როსტოვი) | 34 | 9 | 10 | 15 | 37—45 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 34 | 9 | 10 | 15 | 22—35 | 28 |
| „არარატი“ (ერევანი) | 34 | 10 | 7 | 17 | 32—44 | 27 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 34 | 9 | 8 | 17 | 26—39 | 26 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 35 | 8 | 9 | 18 | 26—44 | 25 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 34 | 8 | 8 | 18 | 36—56 | 24 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 34 | 5 | 9 | 20 | 22—46 | 19 |

## „იმედის თასის“ ფინალში

**სოჭი,** 28 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დასასრულს მიუახლოვდა „იმედის თასის“ საკავშირო ფინალური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს, რსფსრ-ს, მოსკოვის, სომხეთის, უკრაინისა და „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები.

საქართველოს ჭაბუკებმა ფრედ ითამაშეს მოსკოველებთან (1:1), „შრომითი რეზერვებისა“ და უკრაინის ნაკრებ გუნდებთან (ორივეჯერ — 0:0) და დაამარცხეს სომხეთის გუნდი ანგარიშით 1:0.

ქართველმა ფეხბურთელებმა დააგროვეს 5 ქულა. ამდენივე ქულა აქვს რსფსრ-ს ნაკრებსაც. 30 ოქტომბერს საქართველოსა და რსფსრ-ს გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან გადამწყვეტ მატჩში, რომელიც გამოავლენს თასის მფლობელს.

საკავშირო ტელევიზია აწყობს ამ მატჩის ტრანსლაციას პირველი პროგრამით. დასაწყისი 17 საათზე თბილისის დროით.

### [illegible]

**ქუთაისი**

გაიმართა საქალაქო ტურნირი ესტაფეტებში. გამარჯვებისთვის იბრძოდა ქალთა 7 და ვაჟთა 11 გუნდი. ქალებში, როგორც 4×100, ისე 400+300+200+100 მეტრზე რბენაში დინამოელებმა იმარჯვეს. ვაჟებში სპრინტერული ესტაფეტა (4×100) დინამოელებმა მოიგეს. შერეულ ესტაფეტაში (800+400+200+100) პირველი იყო „ლოკომოტივი“.

შ. ნიჟარაძე.

**გულრიფში**

დამთავრდა „კოლმეურნის“ გულრიფშის რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში, ფრენბურთსა და ტყვიის სროლაში. ფეხბურთში უძლიერესი იყო სოფელ გულრიფშის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი. ფრენბურთში გაიმარჯვეს სოფელ დრანდის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა, ტყვიის სროლაში — გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა.

შ. ჯალაღონია.

**კასპი**

კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია 9 სახეობა. ტურნირი სამ (კასპის, ქვემო ჭალის და ზემო ხანდაკის) ზონად მიმდინარეობს. უკვე დამთავრდა ასპარეზობა ფრენბურთსა და კალათბურთში. ორივე სახეობაში გაიმარჯვეს ცემენტის ქარხნის სპორტსმენებმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

## სტარტი — თბილისში, ფინიში — მოსკოვში

ლუგანოში მუშაობა დაამთავრა ფიდე-ს 39-ე კონგრესმა. დასკვნით სხდომაზე კონგრესმა არ მიიღო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ორწრიანი ტურნირის გამართვის წინადადება, რომელიც ფიდე-ს პრეზიდენტმა და ცენტრალურმა კომიტეტმა შეიტანეს. ამ წინადადების მომხრე აღმოჩნდა მხოლოდ 18 დელეგატი, წინააღმდეგი — 20. ამრიგად, კვლავ ძალაში დარჩა 8 პრეტენდენტის სამატჩო შეხვედრები. პრეტენდენტთა 1971 წლის შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: საზონათაშორისო ტურნირის 6 პრიზიორი, ვ. კორჩნოი და ტ. პეტროსიან — ბ. სპასკის მატჩში დამარცხებული მოჭადრაკე.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფიდე-ს სხვა გადაწყვეტილებებმაც.

ქალთა მსოფლიო პირველობაზე მატჩის ჩატარების დროისა და ადგილის სადავო საკითხი კონგრესმა ასე გადაწყვიტა: თუ ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი 1969 წლის 1 იანვრამდე ვერ შეთანხმდებიან სად და როდის ითამაშონ, მაშინ მათი მატჩი დაიწყება 11 აპრილს. მატჩის პირველი ნახევარი (8 პარტია) გათამაშდება თბილისში, მეორე — მოსკოვში.

კონგრესმა გააუქმა ხელოვნური კენჭისყრა საზონათაშორისო ტურნირებში, რაც მოჭადრაკეთა მუდმივ უკმაყოფილებას იწვევდა. ამ ხელოვნური კენჭისყრით ერთი ქვეყნის მოჭადრაკეები სტარტზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დამტკიცდა 1969 წლის დიდი საერთაშორისო ტურნირების ჩატარების დრო და ადგილი. აგვისტოში შვეციაში მოეწყობა ჭაბუკთა მსოფლიო პირადი პირველობა, ლიუბლინში (პოლონეთი) ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადა, ხოლო გდრ-ში — სტუდენტთა მსოფლიო გუნდური პირველობა.

ფიდე-მ შეიერთა მიწერ-მოწერით თამაშის საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია, რომელიც ამიერიდან მისი ერთ-ერთი კომისია იქნება.

## 3 ტურის შემდეგ

**ლუგანო, 28 ოქტომბერი.** დაიწყო XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ (კენჭისყრის მიხედვით) ბულგარეთის, სსრ კავშირის, უნგრეთის, რუმინეთის, აშშ-ს, არგენტინის, იუგოსლავიის, პოლონეთის, გდრ-ის, დანიის, გფრ-ის, კანადის, ფილიპინებისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

I ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ფილიპინების წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ დებულების თანახმად, ამ გუნდებს ფინალში ნახევარფინალის შედეგი გადმოჰყვათ (4:0 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ) და ამ დღეს ისვენებდნენ. II ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს ბულგარელებთან (3:1), ხოლო III ტურში ჩეხოსლოვაკიელებთან — 2,5:0,5 (1 გადადებული პარტია).

3 ტურის შემდეგ დაწინაურდა სსრ კავშირის გუნდი — 9,5 (1).

## დაწინაურდა კონოპლიოვა

**აშხაბადი,** 28 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის XV ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერთა შეხვედრები.

ა. ჩაიკოვსკაია — ნ. კონოპლიოვას (მოსკოვი) პარტიაში თბილისელი მოჭადრაკე დიდხანს ინარჩუნებდა უპირატესობას, მაგრამ კრიტიკულ მომენტში უხეშად შეცდა და დამარცხდა. მძაფრი თამაშის შემდეგ გადაიდო ნ. ალექსანდრია — ვ. ბორისენკოს (ტაშკენტი) პარტია, რომელშიც ქართველ ოსტატს უარესი პოზიცია აქვს. თუ ალექსანდრიამ სწორი სვლა ჩაიწერა, პარტია, ალბათ, ყაიმით დამთავრდება.

მ. რანიკუ (ტალინი) — ნ. რუსინკევიჩის (დონეცკი) შეხვედრის ბედი ცაიტნოტში გადაწყდა: უკეთეს პოზიციაში რუსინკევიჩმა უსწოროდ ითამაშა და წააგო. კ. სკეგინამ (მოსკოვის ოლქი) ეტლების ენდშპილში ზუსტი თამაშით სძლია თ. ბელოვას (ფსკოვი).

ტ. ზატულოვსკაიამ (ბაქო) მოუგო რ. ესტერკინას (ლენინგრადი), ო. კაცკოვამ (მოსკოვი) — ი. გურფინკელს (ვოლგოგრადი), რ. ბილუნოვამ (მოსკოვის ოლქი) — ლ. რუდენკოს (ლენინგრადი), თ. გოლოვეიმ (მინსკი) — მ. სანაძეს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

XVI ტურში მხოლოდ 4 შეხვედრა დამთავრდა. სკეგინამ მოუგო ალექსანდრიას, ხოლო გურფინკელმა — ლ. სტარჩენკოს (ალმა-ათა). ყაიმზე შეთანხმდნენ კონოპლიოვა — გოლოვეი და ესტერკინა — რუსინკევიჩი. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

• • •

დღეს, გადადებული პარტიების დამთავრებისას, სკეგინამ და რუდენკომ მოუგეს ბელოვას, ბილუნოვამ — სანაძეს, ხოლო ალექსანდრია — ბორისენკოს, ბორისენკო — რანიკუს, კაცკოვა — ჩაიკოვსკაიას, ზვორიკინა — მედიანიკოვას, მედიანიკოვა — სტარჩენკოსა და შულ — ესტერკინას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

16 ტურის შემდეგ კონოპლიოვას 11,5 ქულა აქვს, ბილუნოვას 11, ალექსანდრიასა და ჩაიკოვსკაიას — 10,5-10,5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04296